უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №1

ქ. თბილისი 18.01.2016

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები:
დავით აფრასიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი), სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;
თინათინ ბრეგვაძე - ა(ა)იპ - ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, აკადემიური მხარდაჭერის პროგრამა, სამხრეთ კავკასიის რეგიონის ოფიცერი; სხდომის მდივანი;
ნინო ჩინჩალაძე - ა(ა)იპ - ფონდი „საერთაშორისო განათლების ცენტრის" აღმასრულებელი დირექტორი;
გრიგოლ მურღულია - განათლების ექსპერტი;
მარიამ ჯაში - ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდარობის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასების და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
გიორგი მელიქაძე - განვითარების სამმართველოს კოორდინატორი;
ანა ლელაძე - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;
თამარ შენგელია - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი;
ნანი დალაქიშვილი - „პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის" პროგრამების დანერგვის კოორდინატორი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:
თამარ ვეფხვაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნატალია ბარათელი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ირმა გრძელიძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
მურთაზ სვანაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული პროგრამების კოორდინატიორი;
ლევან მიდოდაშვილი - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ციური დურული - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
ლაშა კანდელაკიშვილი - შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი;
მაია ხურცილავა - შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
მედეა მაქაცარია - შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის იურისტი.

ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):
ნატო ალავიძე;
მადონა გოგობერიშვილი;
ციური დურული;
ნატალია ბარათელი;
მაყვალა დარსანია;
დალი კალაძე;
დავით ბოსტოღანაშვილი;
დავით ჭეიშვილი;
ეკა ლუაშვილი;
თამარ შუდრა;
ეკა ეკალაძე;
თეა შაყულაშვილი.

სხვა დამსწრე პირები:
მაია ჩიხლაძე - ა(ა)იპ - საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი; შპს საზოგადოებრივი კოლეჯ პანაცეას დირექტორის მოადგილე; საბჭოს მოწვეული წევრი, სათათბირო ხმის უფლებით.

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:55 საათზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, დავით აფრასიძემ. ამავე ნორმის თანახმად, საბჭოს მდივნის მოვალეობა შეასრულა თინათინ ბრეგვაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:
1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
3. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
4. შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე წარადგინა შემდეგი შუამდგომლობები: დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-2 საკითხი, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება, განხილულიყო პირველ საკითხად; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 20 იანვრის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-2 საკითხი, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა მომხდარიყო დღევანდელ სხდომაზე, მომდევნო საკითხად.

საბჭოს წევრები ერთხმად დაეთანხმნენ წარმოდგენილ შუამდგომლობებს.

შესაბამისად, თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის ახალი წესრიგი:

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
4. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
5. შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის ახალის დღის წესრიგი.

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას, შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ მიმართა თხოვნით სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ნატალია ბარათელმა და ციური დურულმა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ მიმდინარე ვიზიტის დროს არ დაფიქსირებულა შენიშვნები, დაწესებულებას ერთხელ უკვე შემოტანილი ჰქონდა პროგრამების დამატებაზე განაცხადი და შეწყვიტეს წარმოება, რადგან სრულად არ ჰქონდათ შეძენილი აღჭურვილობა, რომელიც საჭირო იყო მოდულური პროგრამების განხორციელებისათვის, მიმდინარე ვიზიტზე დაწესებულებამ სრულად წარმოადგინა აღჭურვილობის შესყიდვის დოკუმენტაცია.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რატომ გადაწყვიტა დაწესებულებამ პროგრამების დამატება.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტში ფუნქციონირებდა 56 საგნობრივი პროგრამა, აღნიშნულიდან აქტიური პროგრამები დრო და დრო იცვლებოდა პრიორიტეტების მიხედვით, არსებობდა სრულყოფილი ბაზა და კვალიფიციური კადრები. უნივერსიტეტი გახლდათ ერთ-ერთი დაწესებულება, რომელიც აქტიურად იყო ჩართული მოდულური პროგრამების შემუშავების პროცესში და მათ იმპლემენტაციაშიც დიდი წვლილი მიუძღოდათ.

მაია ჩიხლაძემ განაცხადა, რომ იცნობდა დასკვნას, ექსპერტთა ჯგუფის წევრებს და ენდობოდა მათ მიერ დაფიქსირებულ მოსაზრებებს, უნივერსიტეტი გახლდათ გამონაკლისი ვისაც გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმი პროფესიულ სასწავლებლებთან და იგი დაინტერესებული იყო ამ სასწავლებლებში თუ იყო კერძო პროფესიული სასწავლებლები და ადამიანური რესურსის მიმართებით თუ ჰყავდათ კვალიფიციური კადრები.

ექსპერტმა განაცხადა, რომ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული პროგრამები ხორციელდებოდა 85 პროფესიული მასწავლებლის მეშვეობით.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რაც უფრო მეტი მემორანდუმი ექნებოდა გაფორმებული დაწესებულებას პროფესიულ სასწავლებლებთან და რაც უფრო მრავალმხრივი იქნებოდა თანამშრომლობა, აღნიშნული კიდევ უფრო განავითარებდა პროგრამებს. მათ შორის კერძო სასწავლებლებთანაც, როემლთაგან ყველა არ მდებარეობდა ქუთაისში. აღნიშნული ასევე სტუდენტს პროგრამის გაუქმების შემთხვევაში საშუალებას მისცემდა უწყვეტად გაეგრძელებინა სწავლა მობილობის გზით იმ დაწესებულებაში სადაც ხორციელდებოდა ანალოგიური პროგრამები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის საბაჟო საქმის სპეციალისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის სასტუმრო საქმის სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის სატრანსპორტო ლოგისტიკის ოპერატორის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის ავეჯის კონსტრუირების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის დეკორატიულ - გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის სარეკლამო აგენტის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის ბიბლიოთეკარის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის სისტემების ადმინისტრატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	პროფესიული განათლების საფეხური	ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	საბაჟო საქმის სპეციალისტი	საბაჟო საქმის სპეციალისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (020366)	146	V	20
2	სასტუმრო საქმის სპეციალისტი	სასტუმრო საქმის სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (112064)	107	IV	20
3	სარეკლამო აგენტი	სარეკლამო აგენტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (020253)	100	IV	20
4	ბაგა-ბაღის აღმზრდელი - პედაგოგი	ბაგა - ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (030254)	130	V	20
5	ბიბლიოთეკარი	ბიბლიოთეკარის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (070852)	111	IV	20

6	სისტემების ადმინისტრატორი	სისტემების ადმინისტრატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (040162)	121	V	20
7	ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი	ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (080377)	136	V	20
8	ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი	ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (080381)	120	IV	20
9	დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი	დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (080359)	120	IV	20
10	ავეჯის კონსტრუირების სპეციალისტი	ავეჯის კონსტრუირების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (080384)	109	IV	20
11	სატრანსპორტო ლოგისტიკის ოპერატორი	სატრანსპორტო ლოგისტიკის ოპერატორის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (040778)	106	IV	20

2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას, შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ მიმართა თხოვნით სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს თეა შაყულაშვილმა და ეკა ეკალაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შესული გახლდათ წერილი, რომლის ავტორიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთ-ერთი აკადემიური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის სამართლიანობას და აფიქსირებდა კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევას. აღნიშნული, წარმოადგენდა საფუძველს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, მონიტორინგის განხორციელებისა აღნიშნულ უნივერსიტეტში.

ექსპერტმა განაცხადა, რომ გადამოწმდა ადამიანური რესურსი და ჩატარებული კონკურსის მონაცემები და პირობები, რის საფუძველზეც გამოიკვეთა, რომ კონკურსი ჩატარებული გახლდათ წესების სრული დაცვით და არანაირი დარღვევა არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კონკურსი ჩატარებული იყო კანონმდებლობის დაცვით, საკითხი რამდენჯერმე განხილული იყო სასამართლოს მიერ, სასამართლო გადაწყვეტილება გამოტანილ იქნა უნივერსიტეტის სასარგებლოდ, ამჟამად საქმე განიხილებოდა სააპელაციო სასამართლოში და პროცესი ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა ამჟამად იყო თუ არა აღნიშნული პირი, რომელმაც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა კონკურსის პირობები მათი თანამშრომელი.

წარმომადგენელმა დაუდასტურა რომ იგი გახლდათ მათი თანამშრომელი, ვინაიდან მან ვერ გაიარა კონკურსი აღარ იყო შტატში და ვერ დაიკავა თანამდებობა. მას შესთავაზეს მოწვეული პროფესორის თანამდებობა, თუმცა უარი განაცხადა.

საბჭოს წევრმა მარიამ ჯაშმა განაცხადა, რომ კონკურსის ფარგლებში ხშირად ფიქსირდებოდა ტექნიკური შეცდომები, როდესაც პიროვნებას არ შეჰქონდა რამოდენიმე საკონკურსო ადგილზე განაცხადი, მაგრამ თუ კი კადრი იყო ღირებული შესაძლებელი იყო ალტერნატიული გზების ძიება და კადრის შენარჩუნება.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროფესურა წინასწარ გახლდათ საქმის კურსში კონკურსთან დაკავშირებით, ხოლო თუ გამოცხადებული იყო ერთი ადგილი და ვერ მოხერხდა პიროვნების მიერ მისი დაკავება მას საჭიროებიდან გამომდინარე, სთავაზობდა დაწესებულება მოწვეული პროფესორის სტატუსით აკადემიური საქმიანობის გაგრძელება, თუმცა კონკრეტულ შემთხვევაში უარი განაცხადა თავად ამ პიროვნებამ.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ განსახილველი საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ არ აყენებდა დაწესებულების ავტორიზაციის საკითხს. საბჭო ფლობდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ დასკვნას სადაც ასახული იყო, რომ არ იყო დარღვეული კანონმდებლობა და კონკურსის პირობები, ხოლო თუ დარღვეული კონკრეტული პიროვნების უფლებები ეს უკვე გახლდათ სასამართლოს დავის საგანი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0
წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასების და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას, შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ მიმართა თხოვნით სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ნატო ალავიძემ და მადონა გოგობერიშვილმა. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული იყო შემდეგი გარემოება, კერძოდ:

1. ადამიანურ რესურსთან მიმართებით

წარმოდგენილ პროფესიულ პროგრამებში, პროგრამის განმახორციელებლების დანართებში, პუნქტში კვალიფიკაცია/პრაქტიკული გამოცდილება - მითითებული იყო ძირითადად კვალიფიკაცია ან/და აკადემიური თანამდებობა, შესაბამისად პროგრამის აღწერილობიდან არ ჩანდა ინფორმაცია კურსის/მოდულის განმახორციელებლის პრაქტიკული გამოცდილების შესახებ, თუმცა პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეების გადამოწმებით დადგინდა, რომ მოდულის განმახორციელებლებს ჰქონდათ შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილება. აღნიშნული ინფორმაცია სასურველი იყო შეტანილი ყოფილიყო შესაბამისი პროფესიული პროგრამების დანართებში ინფორმატიულობის გაზრდის მიზნით. ექსპერტმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა მოინახულა დაწესებულებები სადაც უნდა განხორციელებულიყო დასამატებელი შვიდი პროფესიული პროგრამა, როგორც თბილისში ასევე ქუთაისში, პროგრამული ნაწილი შესრულებული იყო კარგად, გაფორმებული იყო მემორანდუმები, სადაც პრაქტიკული კომპონენტი სათითაოდ იყო გამიზნული და გაწერილი ყველა მოდულური პროგრამისათვის, მატერიალური ბაზაც სრულად შეესაბამებოდა სტანდარტს. სრულად გადამოწმდა პერსონალი სადაც მკაფიოდ არ იკვეთებოდა თუ ვინ გახლდათ ასოცირებული პროფესორი და სრული პროფესორი, შესაბამისად მათი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ექსპერტთა ჯგუფს წარმოდგენილი ჰქონდა დანართის სახით.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, რა ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბდა დაწესებულება, რომ ქუთაისშიც განეხორციელებინათ აღნიშნული პროფესიული პროგრამები. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ქუთაისის ბაზა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემადგენლობაში გაჩნდა ინტეგრაციის საფუძველზე, რომელიც მოხდა გურამ თავართქილაძის საუნივერსიტეტო ბაზასთან, რის საფუძველზეც მიიღეს გამართული ბაზა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩართული გახლდათ მოდულური პროგრამების შემუშავებაში, შესაბამისად აღნიშნული გარემოება იძლეოდა საშუალებას ქუთაისის ბაზის დატვირთვას მოდულური პროგრამების მეშვეობით, რაც თავისთავად მოიზარებდა გამართულ აკადემიურ პერსონალს, დაფინანსებას და აღჭურვილობას.

დაწესებულების წარმომადგენელმა ნატალია ბარათელმა განაცხადა, რომ დაწესებულება აპირებდა შეექმნა პროფესიული განვითარების დეპარტამენტი და პროფესიული პროგრამები გადატანილი ყოფილიყო ქუთაისში, რაც უმნიშვნელოვანესი იქნებოდა რეგიონისათვის. რეგიონებს ჰქონდა კვალიფიციური მასწავლებლების რესურსი, არსებული მომენტისათვის ქუთაისის ბაზაზე ხორციელდებოდა ოთხი პროფესიული პროგრამა. ავტორიზაციაზე დასამატებლად წარმოდგენილი შვიდი პროგრამიდან სამი მათგანი განხორციელდებოდა ქუთაისშიც.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ როგორ ჰქონდა დაწესებულებას განსაზღვრული კვოტები. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროფესიული სტუდენტებისათვის გამოყოფილი ჰქონდათ 440 ადგილი და ჰყავდათ 253 სტუდენტი, მოთხოვნილი კვოტა შეადგენდა 140 ადგილს. გადანაწილება 7 პროგრამაზე მოხდებოდა 20-20 ადგილით.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა და კომენტარი გააკეთა პროფესიულ კვალიფიკაციათა ხელშეწყობის პროგრამის წარმომადგენელმა ნანი დალაქიშვილმა. მან განაცხადა, რომ ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თითოეულ ადგილზე სტუდენტთა რაოდენობას, კერძოდ ზუსტად უნდა ყოფილიყო განსაზღვრული თბილისში და ქუთაისში მისაღები კონტიგენტის რაოდენობა.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა თუ მოთხოვნილი კვოტა გახლდათ 140 და თითოეულ პროგრამაზე, კერძოდ შვიდ პროგრამაზე იყო მოთხოვნა 20 ადგილის, როგორ მოხდებოდა ჯამში 140 ადგილის გამოყოფა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სამი პროგრამა კერძოდ: ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამა, შემფასებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული პროგრამა და საბაჟო საქმის სპეციალისტის მეხუთე საფეხურის პროფესიულ პროგრამაზე 20-20 ადგილი იყო განსაზღვრული ქუთაისი ბაზისათვის, ხოლო 80 ადგილი ცალ ცალკე განისაზღვრებოდა მთლიანად შვიდ პროგრამაზე, რომელიც განხორციელდებოდა თბილისში.

საბჭოს მოწვეული წევრი, მაია ჩიხლაძე დაინტერესდა როდის განახორციელებდა დაწესებულება მიღებას. წარმომადგენელმა განაცხადა რომ მიღება განხორციელდებოდა სექტემბრიდან.

საბჭოს წევრმა გრიგოლ მურღულიამ განაცხადა, რომ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტიც აპირებდა პროფესიული პროგრამების განხორციელებას, კონკრეტულად ბიბლიოთეკარის პროფესიულ პროგრამაზე განსაზღვრული იყო 20 ადგილი, ხოლო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქუთაისის ბაზაზე 15 ადგილი. ეფუძნებოდა თუ არა აღნიშნული პროგრამის განხორციელების აუცილებლობა რაიმე კვლევას და ჭირდებოდა თუ არა რეგიონს ამდენი ბიბლიოთეკარი.

წარმომადგენელმა უპასუხა, რომ აღნიშნული სეგმენტი არ იყო გათვლილი მხოლოდ ქუთაისზე, მოიაზრებოდა საქართველოს რეგიონები.

სხდომის თავმჯდომარემ ადგილების განსაზღვრის მიზნით ცალცალკე წაიკითხა პროგრამები: ბაგა ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამა რომელიც განხორციელდებოდა თბილისშიც და ქუთაისშიც და ადგილები გადანაწილდებოდა შემდეგნაირად: თბილისში 15 და ქუთაისში 20; ბიბლიოთეკარის მეოთხე საფეხურის პროფესიული პროგრამა რომელიც განხორციელდებოდა მხოლოდ თბილისში განისაზღვრა 15 ადგილით; შემფასებლის მეხუთე საფეხურის პროფესიულ პროგრამას განესაზღვრა დაგილები - თბილისი 10, ქუთაისი 20; საბაჟო საქმის სპეციალისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამა - ქუთაისი 20, თბილისი 10; ტუროპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამა - თბილისი 10; საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამა - თბილისი10; სასტუმრო საქმის მეოთხე საფეხურის პროფესიული პროგრამა თბილისი 10.

საბჭოს წევრი ნინო ჩინჩალაძე დაინტერესდა თუ რას ეფუძნებოდა აღნიშნული რაოდენობები.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რაოდენობები ეფუძნებოდა მოთხოვნის არსებობას დასავლეთ საქართველოში, რაც განაპირობებდა იმას რომ უფრო მეტად დატვირთული ყოფილიყო ქუთაისის ცენტრი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის ბიბლიოთეკარის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის შემფასებლის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის საბაჟო საქმის სპეციალისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის ტუროპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის სასტუმრო საქმის სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	პროფესიული განათლების საფეხური	ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი	ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (030254)	130	V	ქუთაისი -20 თბილისი - 15
2	ბიბლიოთეკარი	ბიბლიოთეკარის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (070852)	111	IV	15
3	შემფასებელი	შემფასებლის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (020453)	135	V	ქუთაისი -20 თბილისი - 10
4	საბაჟო საქმის სპეციალისტი	საბაჟო საქმის სპეციალისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (020366)	146	V	ქუთაისი -20 თბილისი - 10
5	ტუროპერატორი	ტუროპერატორის მეხუთე საფეხურის	123	V	10

		პროფესიული კვალიფიკაცია (112062)			
6	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (112063)	124	V	10
7	სასტუმრო საქმის სპეციალისტი	სასტუმრო საქმის სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (112064)	107	IV	10

4. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას, შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ მიმართა თხოვნით სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე ჯგუფის თავმჯდომარემ, მაყვალა დარსანიამ წარადგინა. ექსპერტის შეფასებით, დასკვნა დადებითი იყო - დაწესებულება მოდულურ პროგრამებს ახორციელებდა და მისი მატერიალური და ადამიანური რესურსი შეესაბამებოდა სტანდარტს. დაწესებულებას გააჩნდა შესაბამისი აღჭურვილობა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის ადაპტირებული გარემო. დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი 8 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას აღნიშნულ პროგრამებზე განაცხადი მეორედ ჰქონდა წარმოდგენილი - პირველი ვიზიტის შედეგად გამოვლენილ იქნა უზუსტობები ტექნიკურ აღჭურვილობასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციაში, რომლებიც მეორე ვიზიტისთვის ექსპერტებს გამოსწორებული დახვდათ და დასკვნას დანართად ერთვოდა.

თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რამ განაპირობა დაწესებულების გადაწყვეტილება მოდულური პროგრამების დამატების თაობაზე. პასუხად, დაწესებულების წარმომადგენელმა, ლევან მიდოდაშვილმა საბჭოს განუცხადა, რომ გორის სახელმწუფი სასწავლო უნივერსიტეტი რეგიონში ერთ-ერთ მსხვილ საგანმანათლებლო ცენტრს წარმოადგენდა - იყო ერთადერთი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და საგანმანათლებლო პროგრამებს ყველა ძირითადი მიმართულებით ახორციელებდა, მათ შორის - პროფესიულსაც. წარმომადგენლის განმარტებით, ბაზრის კვლევაზე დაყრდნობით შეირჩა ის პროფესიული პროგრამები, რომლებიც სხვა რეგიონებში არ ხორციელდებოდა. ლევან მიდოდაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამების სიახლიდან გამომდინარე, ადამიანი რესურსის სრულყოფა მარტივი არ გახლდათ, თუმცა აღნიშნულ ეტაპზე პერსონალი ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებდა.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების საბჭოს წევრი, მაი ჩიხლაძე დაწესებულების მიერ განხორციელების პროცესში მყოფი სასოფლო-სამეურნეო პროფილის პროგრამებით, კერძოდ, რძის გადამამუშავებლის პროფესიული პროგრამით დაინტერესდა. დაწესებულების წარმომადგენელმა, ციური დურულმა პასუხად აღნიშნა, რომ აღნიშნული პროგრამები ამჟამად საგნობრივი წესით ხორციელდებოდა, თუმცა ისინი დამუშავების პროცესში იყო და უახლოეს მომავალში რძის გადამამუშავებლის პროფესიული პროგრამაც მოდულურად გარდაიქმნებოდა. მაია ჩიხლაძემ დასკვნაში ასახული გარემოებებთან დაკავშირებით კმაყოფილება გამოხატა და დაწესებულების წარმომადგენლის ექსპერტულ გამოცდილებას გაუსვა ხაზი.

საბჭოს წევრი, გრიგოლ მურღულია დაინტერესდა, ბაგა ბაღის აღმზრდელი პედაგოგის პროფესიულ პროგრამას ესაჭიროებოდა თუ არა C გარემო, რაზედაც უარყოფითი პასუხი მიიღო. საბჭოს წევრმა, ასევე, პროფესიული სტუდენტების პროგრამაზე გადანაწილების პრინციპის შესახებ იკითხა, კერძოდ, პროგრამაზე მოთხოვნილი 50 ადგილი ერთ თუ ორ ცვლაზე უნდა განაწილებულიყო?

დაწესებულების წარმომადგენლებმა საბჭოს განუმარტეს, რომ სტუდენტები ორ ნაკადად მიიღებოდნენ - გაზაფხულსა და შემოდგომაზე (25-25 სტუდენტი). გრიგოლ მურღულიამ განაცხადა, რომ ერთ ცვლაში 50 პროფესიული სტუდენტისთვის პროგრამისთვის გათვალისწინებული ფართი ძალზედ მცირე გამოვიდოდა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ თუკი საბჭო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ადგილების ზღვრულ რაოდენობას 50 ერთეულით განსაზღვრავდა, დაწესებულებას დაბრკოლების გარეშე შეეძლებოდა 50 პროფესიული სტუდენტის თუნდაც ერთ ცვლაში მიღება.

განხილულ საკითხთან დაკავშირებით, მაია ჩიხლაძემ განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუკი დაწესებულება ერთ ნაკადზე ერთბაშად 50 სტუდენტს მიიღებდა, მას მეორე ნაკადისთვის სტუდენტების მიღება აღარ შეეძლებოდა. გრიგოლ მურღულია თავის მიერ გამოთქმული ეჭვის დაზუსტებას შეეცადა და განმარტა, რომ შესაძლო იყო, დაწესებულებას ერთბაშად, ერთ ცვლაშივე 50 სტუდენტი მიეღო 67 კვ.მ. ზომის ფართზე. გრიგოლ მურღულიას დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარეც. პასუხად მაია ჩიხლაძემ განაცხადა, რომ მსგავსი გადაცდომები სათანადოდ კონტროლდებოდა და დაწესებულება C გარემოზე წვდომას ცხრილის საშუალებით დაარეგულირებდა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის ვებპროგრამისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის ღონისძიების მენეჯერის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის სასტუმრო საქმის სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის ბიბლიოთეკარის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის სარეკლამო აგენტის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	პროფესიული განათლების საფეხური	ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	პრაქტიკოსი ექთანი	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (090552)	147	V	50
2	ბაგა-ბაღის აღმზრდელი - პედაგოგი	ბაგა-ბაღის აღმზრდელი - პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (030254)	130	V	50
3	ვებპროგრამისტი	ვებპროგრამისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (040167)	138	V	30
4	კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი	კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (040161)	130	V	30
5	ღონისძიების მენეჯერი	ღონისძიების მენეჯერის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (020367)	124	V	40
6	სასტუმრო საქმის სპეციალისტი	სასტუმრო საქმის სპეციალისტის მეოთხე საფეხურის	108	IV	40

		პროფესიული კვალიფიკაცია (112064)			
7	ბიბლიოთეკარი	ბიბლიოთეკარის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (070852)	111	IV	30
8	სარეკლამო აგენტი	სარეკლამო აგენტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (020253)	100	IV	25

5. შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსმა, ლევან მადათოვმა განმარტა, რომ შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი წარმოადგენდა შპს საექთნო სკოლა - სასწავლო უნივერსიტეტ ,,ივერიის'' უფლებამონაცვლეს, რომელსაც ავტორიზაცია მიენიჭა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 21 იანვრის №01 გადაწყვეტილებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დავით ბოსტოღანაშვილმა და ავტორიზაციის ექსპერტებმა, დავით ჭეიშვილმა, თამარ შუდრამ, ეკა ეკალაძემ და ეკა ლუაშვილმა.

დავით ბოსტოღანაშვილის განმარტებით, დაწესებულების შემოწმების დროს არ გამოვლენილა ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევის ფაქტი. მან აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდში დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებული კატალოგი წარმოადგენდა ძველ ვერსიას (დათარიღებული იყო 2014 წლით) და მასში არ იყო მოცემული ინფორმაცია სტუდენტთა შეფასების წესის თაობაზე. თუმცაღა, საბჭოს სხდომამდე მოხდა ვებგვერდის დათვალიერება და ამჟამად დაწესებულებას განახლებული კატალოგი ჰქონდა განთავსებული.

თამარ შუდრამ აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ შემუშავებული სასწავლო პროცესის მარგულირებელი წესის, მე-6 მუხლით განსაზღვრული იყო სტუდენტის სტატუსის შეჩერების ერთ-ერთ საფუძვლად, საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელება. აღნიშნული ჩანაწერი ეწინააღმდეგებოდა მოქმედ კანონმდებლობას, რომლის თანახმადაც, სტუდენტს არ უჩერდება სტუდენტის სტატუსი საზღვარგარეთ სწავლის გამო, თუ საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელების საფუძველს წარმოადგენს გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა.

დავით ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ შპს „ევროპის სასწავლო უნივერსიტეტში" ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს, დაწესებულებას საკუთრებაში ჰქონდა ორი შენობა, ერთი ოთხ სართულიანი შენობა ქ. თბილისში, დავით გურამიშვილის გამზირის 76 ნომერში და მეორე, სამ სართულიანი შენობა, ქ. ლაგოდეხში, 9 აპრილის ქუჩის 42 ნომერში. გარდა ამისა, დაწესებულებას ქ. თბილისში, ჭყონდიდელის ქუჩის 26 ნომერში, იჯარით აღებული აქვს 927 კვ.მ. ფართის შენობა. დაწესებულების ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ ისინი სასწავლო პროცესს ახორციელებდნენ მხოლოდ ერთ შენობაში, რომელიც მდებარეობდა ქ. თბილისში დავით გურამიშვილის გამზირის 76 ნომერში. დანარჩენი ორი შენობა მათ სჭირდებოდათ, როგორც დამხმარე ფართი. ქ. თბილისში დავით გურამიშვილის გამზირის 76 ნომერში მდებარე შენობაში სასწავლო ფართის საერთო ოდენობა შეადგენდა 1103,59 კვ.მ., რომლის აუდიტორიებში და ლაბორატორიებში განთავსებული იყო: 412 ორადგილიანი მაგიდა, 870 სკამი, 83 კომპიუტერი, 13 ლეპტოპი. მან ასევე აღნიშნა რომ, დაწესებულებაში არსებული კომპიუტერული ტექნიკა საჭიროებდა განახლებას, მათი ტექნიკური მონაცემები არ იყო საკმარისი იმ საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომელსაც ახორციელებდა დაწესებულება.

სხდომის თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულებამ გაითვალისიწინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნაში დაფიქსირებული გარემოებები, კერძოდ, ვებგვერდზე განთავსდა განახლებული კატალოგი და სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველები შესაბამისობაში მოვიდა მოქმედ კანონმდებლობასთან. ამასთან, იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც სწავლობდნენ ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამაზე მოხდა ახალი, მძლავრი მონაცემების მქონე კომპიუტერების შეძენა.

სხდომის თავმჯდომარემ, დავით აფრასიძემ დამაზუსტებელი კითხვით მიმართა ექსპერტებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს, განახორციელებდა თუ არა დაწესებულება სასწავლო პროცესს ქ. ლაგოდეხში არსებულ ფართზე.

დავით ჭეიშვილის განმარტებით, ვიზიტის პერიოდში მოხდა ქ. ლაგოდეხში არსებული ფართის დათვალიერებაც, რომელის ნაწილიც სარემონტო მდგომარეობაში იყო. დაწესებულებამ აღნიშნული ფართი დამხმარე ფართად წარმოადგინა და დაწესებულების დებულებით განისაზღვრა, რომ სასწავლო ფართად მხოლოდ ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზირ 76 ნომერში არსებული ფართის გამოყენება მოხდებოდა. დაწესებულების წარმომადგენლებმაც დაადასტურეს ექსპერტის მიერ გამოთქმული გარემოებები.

სხდომის თავმჯდომარე, დავით აფრასიძე დაინტერესდა, დაწესებულება აკრედიტებულ რეჟიმში ახორციელებდა თუ არა საგანმანათლებლო პროგრამებს.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ფარმაციისა და ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამების გარდა, დაწესებულების ყველა საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებული იყო.

სხდომის თავმჯდომარე, დავით აფრასიძე დაინტერესდა, თუ რამდენი აქტიური სტუდენტი ჰყავდა ამჟამად დაწესებულებას და აღნიშნული სტუდენტებიდან რამდენი იყო უცხო ქვეყნის მოქალაქე.

დაწესებულბის წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულებაში ამჟამად 600 სტუდენტამდე ირიცხებოდა, რომელთაგან 28 ინდოელი სტუდენტი ირიცხებოდა დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2800-ით განსაზღვრა. მან ასევე აღნიშნა, რომ სტუდენტების სწავლება მოხდებოდა ორ ცვლაში.

დავით აფრასიძის განმარტებით, დაწესებულების მიერ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2800-ით განსაზღვრის მოთხოვნა ლოგიკას იყო მოკლებული, რადგანაც დაწესებულება აქამდე რამოდენიმე ფართზე ახორციელებდა სასწავლო პროცესს და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა 1150-ით ჰქონდა განსაზღვრული. ამ პირობებში, კი მხოლოდ ერთ ფართზე ხდება მოთხოვნის წამოყენება, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზირ №76-ში და როგორც ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში იყო დაფიქსირებული, მისი სასწავლო ფართის ოდენობა შეადგენდა 1103,59 კ.მ.-ს.

ექსპერტის, დავით ჭეიშვილის განმარტებით, დაწესებულებას აღნიშნულ ფართზე 1000 სტუდენტის ყოლის შემთხვევაში შეეძლო სასწავლო პროცესი შეუფერხებლად განეხორციელებინა.

საბჭოს წევრის, მარიამ ჯაშის განმარტებით, როდესაც დაწესებულებას „ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი" ეწოდება, მან მინიმალური მოთხოვნები მაინც უნდა დააკმაყოფილოს და სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრისას მხოლოდ მათემატიკურ გამოთვლებზე ფართისა და მერხების რაოდენობაზე, ორ ცვლაში სწავლებაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული, სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ რეალური შესაძლებლობა შეფერხების გარეშე მიიღონ განათლება.

საბჭოს სხდომაზე 16:25 საათზე გამოცხადდა შესვენება.

საბჭოს სხდომა განახლდა 16:37 საათზე.

სხდომის თავმჯდომარის, დავით აფრასიძის განცხადებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს პოზიცია იყო, რომ დაწესებულებისათვის ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულიყო იგივე მაჩვენებლით, რაც ჰქონდა ამჟამად დაწესებულებას, 1150 სტუდენტით. მან ასევე აღნიშნა, რომ არსებული პრაქტიკის თანახმად, საბჭო სტუდენტთა კვოტის განსაზღვრისას ხელმძღვანელობდა დაწესებულების პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით. სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა ხდებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც დაწესებულებაში არსებული პირობები უმჯობესდება, მაგალითად, ხდება არსებული ფართის გაზრდა. აღნიშნული დაწესებულების შემთხვევაში ასეთი გარემოება არ ფიქსირდებოდა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1150-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 5
წინააღმდეგი- 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 56^3-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 201954956) 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1150-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ 16:40 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
დავით აფრასიძე

მდივანი
თინათინ ბრეგვაძე